

აიკმ

საქართველოს  
მართლმადიდებელ ეკლესიასთან  
არსებული ქრისტიანული კვლევის  
საერთაშორისო ცენტრი



საქართველოს  
ეროვნული მუზეუმი

# ეკლესია და ეკონომიკა

სამეცნიერო სემინარი

თბილისი  
2011

თბილისი, 0179. 6. რამიშვილის ქ. №35ა, სად. №1, ბ. №1.  
ტელ.: +995 (32) 2447730, +995 (32) 2250243  
ელ. ფოსტა: [logos.iccr@yahoo.com](mailto:logos.iccr@yahoo.com); ვებ გვერდი: [www.logos.org.ge](http://www.logos.org.ge)

## პროგრამა

სემინარის გახსნა: 11:00

ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

მისალმებები

- უნშიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია
- თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ვახტანგ სართანიანი

მოსხენებები

- ქრისტიანული ღირებულებებისა და ბიზნესის ურთიერთმიმართება – პროფესორი პარმენ მარგველაშვილი
- ეკონომიკა და მართლმადიდებლური ეთიკა – მღვდელი, მამა ანდრია ჯალმიაძე

შესვენება: 12:00

აზრთა გაზიარება: 12:30

სემინარი ეძღვნება უნშიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს მისი ანგელოზის დღესთან დაკავშირებით.

2002 წელს მისი უნშიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა ფონდი – „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი“.

ცენტრის მიზანია აღადგინოს კომუნისტური მმართველობის პერიოდში ეკლესიასა და მეცნიერებას შორის ხელოვნურად ჩატეხილი ხიდი, გააერთიანოს რწმენა და ცოდნა. წლების განმავლობაში ამ პრობლემის დამუშავებას მიეძღვნა არა ერთი სამეცნიერო სიმპოზიუმი, კონფერენცია, სემინარი, ექსპედიცია საგანმანათლებლო ლექციათა კურსი.

ცენტრის საქმიანობამ ცხადყო, რომ ამ რთული ამოცანის ხორცშესხმა შეუძლებელია ეროვნულ-კულტურული ცნობიერების გათვალისწინების გარეშე.

ამ მხრივ ერთობ მნიშვნელოვანია მისი უნშიდესობის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში გამოთქმული მოსაზრებები.

ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა გადაწყვიტა ხელი შეუწყოს მისი უნშიდესობის მიერ განხილული აქტუალური სოციალური პრობლემების მეცნიერულ კვლევასა და დამუშავებას, გახადოს იგი ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის.

ამ მიზნით ვფიქრობთ შეიქმნას მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ღვთისმსახურთა, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა თანამშრომლობას.

სემინარის სავარაუდო თემატიკა

- ეროვნული იდეის არსი
- ენა და ეროვნული ცნობიერება
- რწმენა და ცოდნა
- ეკლესია და კულტურა
- ეკლესია და სახელმწიფო
- ეკლესია და ეკონომიკა
- ეკლესია და ოჯახი
- ეკლესია და განათლება
- ეკლესია და მასმედია
- ეკლესია და მედიცინა
- ადამიანი და პიროვნული თავისუფლება
- საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალიზაცია